



იუსტიციის
უმაღლესი სკოლა

მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა
გადამზადების პროგრამა

2019 წელი

თბილისი, 2018 წელი

პროგრამის მიზანი

წინამდებარე პროგრამა მოიცავს ორ მიმართულებას:

1. პირველი მიმართულება ითვალისწინებს მოქმედი მოსამართლეების ინფორმირებას ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შესახებ; დისკუსიის გამართვას სამართლებრივი ნორმების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით; საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის გზების ძიებასა და გადაწყვეტას;
2. მეორე მიმართულება ითვალისწინებს მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა (მოსამართლის თანაშემწეები და ა.შ) გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, კანონის უზენაესობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის ზოგადი მიმოხილვა

გადამზადების პროგრამა მომზადდა 2018 წლის დასასრულს და მოიცავს პერიოდს - 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. პროგრამა ითვალისწინებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ, როგორც დამოუკიდებლად ასევე, ადგილობრივ, უცხოურ და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

პროგრამის შედგენისას, იუსტიციის უმაღლესი სკოლა იყენებს კომპლექსურ მეთოდს, რომელიც მოიცავს, მაგრამ ამასთან არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სასამართლოს საჭიროებების ანალიზი;
- ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების რეკომენდაციები;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციები;
- სკოლის მასწავლებელთა საბჭოს რეკომენდაციები;
- საქართველოს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი;
- უცხოური და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები;
- განვითარებულ სახელმწიფოებში მოსამართლეთა სწავლების სფეროში არსებული სიახლეები და მიმართულებები.

სწავლება ხორციელდება ტრენინგის, სემინარის, სამუშაო შეხვედრების, კონფერენციის და სხვა აპრობირებული ფორმატის გამოყენებით. თითოეული ღონისძიების ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთიდან ოთხ დღემდე პერიოდით. გადამზადების თითოეული ღონისძიების დღეების რაოდენობა და თარიღები განისაზღვრება სკოლის დირექციის მიერ. თითოეული ღონისძიების განხორციელებაში როგორც წესი, მონაწილეობას იღებს ორი ტრენერი/მასწავლებელი.

საკანონმდებლო ცვლილებებისა და სასამართლოების საჭიროებების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი სკოლა წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირება/განახლებას.

სწავლების მეთოდოლოგია

ა) ზოგადი მიმოხილვა

მოსამართლეებთან და სასამართლოს სხვა მოხელეებთან მიმართებაში სწავლება მიმდინარეობს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- ✓ სწავლების თემის განხილვა;
- ✓ პრობლემური საკითხების გამოყოფა;
- ✓ პრაქტიკული ასპექტების მიმოხილვა;
- ✓ მონაწილეთა შეხედულებების ურთიერთგაცვლა და შეჯერება ძირითად საკითხებზე;
- ✓ შეჯერებული საკითხების იმპლემენტაციის ღონისძიებების დაგეგმვა;
- ✓ ახალი სამართლებრივი ინსტიტუტების შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავება;
- ✓ ზოგადად, ტრენინგების ჩატარება ისეთ საკითხებზე, სადაც შეინიშნება გამოცდილების ნაკლებობა.

გადამზადების პროგრამის ფარგლებში, სწავლება ხორციელდება თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით.

ბ) თეორიული სწავლება

თეორიული სწავლების პროცესში, სწავლების თემის გარშემო არსებული სამართლებრივი საკითხების მიმოხილვის გარდა, აქცენტი კეთდება შემდეგ საკითხებზე:

- ✓ სასამართლო პრაქტიკა;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ✓ მოსამართლეთა შეხვედრის შედეგად მიღებული რეკომენდაციები;
- ✓ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

თეორიული სწავლება აუცილებლად მჭიდრო კავშირში უნდა იყოს ბოლოდროინდელ სასამართლო პრაქტიკასთან და ნორმის ინტერპრეტაციის ტენდენციებთან.

თეორიული სწავლების ხანგრძლივობა კონკრეტულ შემთხვევაში, განისაზღვრება ინდივიდუალურად.

სასწავლო ღონისძიების ფარგლებში, თეორიული სწავლების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო ღონისძიებისათვის განკუთვნილი მთლიანი დროის **40%**-ს.

გ) პრაქტიკული სწავლება

პრაქტიკული სწავლება არის გადამზადების პროგრამის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი მეთოდოლოგიით:

- ✓ კაზუსებზე მუშაობა;
- ✓ სასამართლო პრაქტიკიდან აღებული რეალური საქმეების ანალიზი, რომელთა თაობაზეც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში არის შესული;
- ✓ წერილობითი დოკუმენტების შედგენა.

პრაქტიკული სწავლების დროს გამოიყენება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუშაობის მეთოდი. კაზუსები გამოიყენება როგორც აბსტრაქტული, ასევე რეალური საქმეებიდან გამომდინარე (რეალური საქმეების შემთხვევაში არ ხდება მხარეთა იდენტიფიცირება).

სასწავლო ღონისძიების ფარგლებში, პრაქტიკული სწავლების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო ღონისძიებისათვის განკუთვნილი მთლიანი დროის **60%**-ს.

დ) დისკუსია

თითოეულ თემასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესში გაიმართება დისკუსია. დისკუსიის მიზანია:

- ✓ პრობლემური საკითხების წარმოჩენა;
- ✓ მონაწილეთა სუბიექტური მიდგომების მოსმენა და მათი ანალიტიკური აზროვნების გაღრმავება;
- ✓ აზრის მკაფიოდ გამოხატვისა და მისი სამართლებრივი არგუმენტებით გამყარების უნარისა და მჭევრმეტყველების დახვეწა;
- ✓ დასაბუთებული და სამართლებრივად სწორი მიმართულების ჩამოყალიბება;
- ✓ სხვა პირთა განსხვავებული შეხედულებების მოსმენის კულტურისა და ამ შეხედულებებისადმი პატივისცემის უნარის განმტკიცება.

ე) შეფასება

გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შეფასება ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული შეფასების სისტემით - „კირკ პატრიკის ოთხ საფეხურიანი მოდელით“.

სწავლების დასასრულს, მოსამართლეები, ასევე სასამართლოს სხვა მოხელეები ავსებენ შეფასების კითხვარს, რომელიც სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა სწავლების შემდეგ ოთხ კომპონენტთან მიმართებაში:

- ღონისძიების პროცესის შინაარსობრივი მხარის შეფასება;
- ტრენერის/ექსპერტის შეფასება;
- ღონისძიების ორგანიზაციული მხარის შეფასება;
- ღონისძიების ეფექტურობის/ეფექტიანობის შეფასება.

შეფასების კითხვარის საშუალებით დამატებით ხორციელდება სამომავლო ღონისძიებების თემების იდენტიფიცირება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექცია წლის ბოლოს ახდენს პროგრამის მონაწილეთა მიერ შევსებული კითხვარის სიღრმისეულ ანალიზს და მომავალი წლის პროგრამაში კითხვარის საფუძველზე მიღებული შედეგების გათვალისწინებას.

მოქმედ მოსამართლეთა 2019 წლის გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული

სასწავლო ღონისძიებების თემები:

სფერო – საკონსტიტუციო სამართალი:

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები).

სფერო – ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სამართალი:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სისხლის სამართალი);
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები (სამოქალაქო/ ადმინისტრაციული);
3. დისკრიმინაციის აკრძალვა-შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები;
4. გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის სიძულვილის ენასთან დაკავშირებული საკითხები;
5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მართლმსაჯულების ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მათ შორის კომუნიკაციის სტანდარტები);
6. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა;
7. მართლმსაჯულების ხელშეწყობა გენდერული თანასწორობის გზით;
8. თავმესაფრის მამიებელთა, ლტოლვილთა და საერთაშორისო დაცვის საჭიროების ქვეშ მყოფ სხვა პირთა უფლებები;
9. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;
10. ევროპის კავშირის სასამართლო პრაქტიკა;
11. ადამიანის უფლებათა ევროპული და საერთაშორისო სტანდარტები (ზოგადი კურსი /სამოქალაქო-ადმინისტრაციული სამართლის მიმართულება).

სფერო – სამოქალაქო (კერძო) სამართალი:

1. სამოქალაქო სამართალწარმოების აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები (სასამართლო პრაქტიკა);
2. ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები;
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
4. საერთაშორისო შრომითი სტანდარტები და საქართველოს შრომის კოდექსი;
5. გადაწყვეტილების დასაბუთება სამოქალაქო სამართალში;
6. სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები;
7. საკორპორაციო სამართალი (კაპიტალური ტიპის საზოგადოებათა სამართალი);
8. მომხმარებელთა უფლებები;
9. კონდიციური სამართლის პრობლემატური საკითხები.

სფერო – ადმინისტრაციული სამართალი:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
2. ადმინისტრაციული სამართალწარმოების აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები (სასამართლო პრაქტიკა);
3. კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
4. გადაწყვეტილების დასაბუთება ადმინისტრაციულ სამართალში;
5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება;
6. საგადასახადო დავების პრობლემატური საკითხები.

სფერო – სისხლის სამართალი:

1. საგამოძიებო მოქმედებები და მტკიცებულებები;
2. სისხლის სამართლის პროცესის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები (სასამართლო პრაქტიკა);
3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სისხლის სამართალი);
4. განაჩენის დასაბუთება (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა);
5. სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული;
6. კორუფციასთან დაკავშირებულ საქმეთა (ეფექტიანი) განხილვა;
7. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი);
8. ბავშვთა უფლებები;

9. მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები;
10. კიბერდანაშაულთან დაკავშირებულ საქმეთა (ეფექტიანი) განხილვა.

ზოგადი საკითხები:

1. სტრესის მართვა;
2. პრაქტიკული ფსიქოლოგია (სასამართლოში ზრდასრულ ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგია);
3. სამოსამართლო ეთიკის საბაზისო კურსი;
4. სამოსამართლო ეთიკის სიღრმისეული კურსი;
5. ლიდერობა და მენეჯმენტი სასამართლოში;
6. ფსიქიატრიული ჯანდაცვა;
7. მოსამართლის პროფესიული უნარები;
8. პრეზენტაცია / ორატორული უნარები;
9. სამართლებრივი კონფლიქტის გადაწყვეტის მეთოდოლოგია;
10. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა;
11. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის აქტუალური საკითხები (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი);
12. კომუნიკაციის ფსიქოლოგია.